საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N 270 2024 წლის 29 თებერვალი ქ. თბილისი

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე

მიმდინარე წლის თებერვალში განვითარებული სტიქიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისთვის (მთლიანად ან ნაწილობრივ დაზიანებული კერძო სახლები) კომპენსაციის გაცემის მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან მუნიციპალიტეტებს გამოუყოს 830 000 (რვაას ოცდაათი ათასი) ლარი, კერძოდ:

ა) ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს – 380 000 (სამას ოთხმოცი ათასი) ლარი;

ბ) წალენჯიხის მუნიციპალიტეტს – 213 000 (ორას ცამეტი ათასი) ლარი;

გ) მარტვილის მუნიციპალიტეტს – 88 000 (ოთხმოცდარვა ათასი) ლარი;

დ) ონის მუნიციპალიტეტს – 75 000 (სამოცდათხუთმეტი ათასი) ლარი;

ე) ლენტეხის მუნიციპალიტეტს – 38 000 (ოცდათვრამეტი ათასი) ლარი;

ვ) ცაგერის მუნიციპალიტეტს – 36 000 (ოცდათექვსმეტი ათასი) ლარი.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**